

**საქართველოს მთავრობის
განკარგულება**
N115 2013 წლის 29 იანვარი ქ. თბილისი

„საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, მის სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ ერთმანეთისათვის გაწეული მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 11 იანვრის N8 განკარგულებაში დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, შეტანილ იქნეს ცვლილება „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, მის სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ ერთმანეთისათვის გაწეული მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 11 იანვრის N8 განკარგულებაში და დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ პუნქტი:

„1¹. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, მის სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირები (გარდა სსიპ - საქართველოს ნოტარიუსთა პალატისა) ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული სახელმწიფო შესყიდვებისას გათავისუფლდნენ ხელშეკრულების უზრუნველყოფის ან/და წინასწარ გადასახდელი თანხის საბანკო გარანტიების წარდგენისაგან.“.

პრემიერ-მინისტრი

ბიძინა ივანიშვილი